MES 7 23 0000408636

11/04/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.03.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**
4. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

5. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
10. ქ**ეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
17. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
18. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ანა ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	სალომე პირველი	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი / სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	I
2	ანჟელა აბულაძე	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;	I
3	ეკატერინე ლაფაჩი	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	I
4	მიხეილ ბიჭია	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის წევრი;	I
5	თათია დოლიძე	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის წევრი.	I
6	ჯემალ ძაგანია	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროფესორი, რექტორი	II
7	მაია ხურცილავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	II
8	ნესტან ეგეტაშილი		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	III, IV
10	ბორის ლეჟავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	III, IV
11	დიანა მჭედლიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	III, IV
12	დავით ნატროშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	III, IV
13	დავით თინიკაშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული პროფესორი	III, IV
14	ფლორა ესებუა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული პროფესორი	III, IV

15	დავით წასიძე	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;	V
16	ნიკა გიგაური	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	GIPA-ს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	V
17	ირინე ბაქრაძე	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;	V
18	თორნიკე შარაშენიძე	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;	V
19	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი;	VI, VII
20	ლევან ჯაყელი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;	VI, VII
21	ირაკლი გორგილაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ბსუ იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	VI, VII
22	რუსუდან კეჭაყმაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;	VI, VII
23	ქეთევან ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოცირებული პროფესორი, "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო და "კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	VI, VII
24	რუსუდან ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, "კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;	VI, VII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი		საკითხი

		ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	
1	ეკა კაველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ხვთისო მამისიმედაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მარიამ მანჯგალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ანი ქვათაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	იაგო კაჭკაჭიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ნანა ბურდული	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი : შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2023 წლის 26 იანვარს. ვიზიტის ფარგლებში ისინი შეხვდნენ თავისუფალი აკადემიის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, დამსაქმებლებს, ასევე სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ასევე დაათვალიერეს. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა განსახილველი პროგრამის სხვადასხვა დამატებითი ღირებულებები, მათ შორის მრავალი არჩევითი კურსი, მომავალში ინგლისურ ენაზე ახალი ლექციების დანერგვის მიზანი, აგრეთვე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება შრომის ბაზართან სტუდენტების სტაჟირების ხელშეწყობის მიზნით. ფაქტობრივად, არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა შრომის ბაზართან. პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული იქნა სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ გაცემული რეკომენდაციები. ასევე აღინიშნა საერთაშორისო სტრატეგია არსებული პარტნიორობის გათვალისწინებით. ამ მხრივ, აკადემია ასევე აპირებს გამოიყენოს არსებული

ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ბიზნესში, როგორც ხიდი მეტი საერთაშორისო პარტნიორობის განვითარებისთვის.

საბჭოს წევრმა ირინე ებრალიძემ დატოვა სხდომა

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დასკვნის როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულ თარგმნში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ 5.2 ქვესტანდარტი ნაცვლად შესაბამისობაშია სტანდარტთან უნდა იყოს მოცემული როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან ვინაიდან კომპონენტთან მიმართებით გაცემულია რეკომენდაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთლიან სტანდარტზე აღნიშნული გავლენას არ ახდენს. ამასთან, ექსპერტმა მოუწოდა საბჭოს წევრებს არ გაეთვალისწინებინათ დასკვნაში მოცემული მე - 5 რეკომენდაცია, რადგანაც აღნიშნული არ არის ძალაში, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები შესაბამისად არის განსაზღვრული.

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრქუციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებს, შესაბამისად, თუ იქნება მოცემული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა, აუცილებლად მოხდება თითოეული რეკომენდაციის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებად მითითებული არიან ფაკულტეტის დეკანი და დაწესებულების ხელმძღვანელი, შესაბამისად, ის დაინტერესდა როგორ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამის გამართულად მუშაობა, მაშინ როდესაც პროგრამის ხელმძღვანელობის გარდა მათ აკისრიათ ადმინისტრაციული ფუნქციებიც.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ პროგრამაში სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი განსაღვრულია 27 კრედიტის ოდენობით, რომელშიც შედის ინგლისური ენის კომონენტი, აკადემიური წერა და ინფორმაციული ტექნოლოგიები. აკადემიური წერა თავისი შინაარსით არის ზოგადი, ანუ კონკრეტულად იურისტებზე არ არის ორიენტირებული, ხოლო რაც შეეხება ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსში გათვალისიწნებული საკითხები მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. მან დაწესებულებას სთხოვა აღნიშნულ საკითხზე განმარტება. ასევე, მან აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, აკადემიურ პერსონალს არ აქვს პრაქტიკული გამოდილება, მისი თქმით, კონკრეტულ ერთერთ პროფესორს, რომელსაც გამოცდილება აქვს სისხლის სამართლის მიმართულებით, მოწვეული პროფესორის სახით ჩართულია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების სასწავლო კურსში. საბჭოს წევრმა ასევე სასწავლო კურსთან ,,ინოვაციების სამართალი", აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საგანი არის არჩევითი, სილაბუსში საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრია მოცემული, შესაბამისად უმჯობესია სილაბუსის გადახედვა.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დაწესებულებას სთხოვა განმარტების გაკეთება აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით ერთია, რამდენად აქვს დაწესებულებას პოტენციალი და მეორე რამდენად აქვს საჭირო ფინანსები.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ მე-5 სტანდარტის შეფასებასთან დაკავშრებული ტექნიკური ხარვეზი. მისი თქმით, ქართულენოვანი დასკვნის მე-5 გვერდზე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია საგანმანათებლო პროგრამის შესახებ და ბოლო ბულეტში ასახულია ინფორმაცია, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევით კომპონენტს საბაკალავრო ნაშრომში, ის დაინტერესდა აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში არ არის მოცემული სამართლებრივი წერის ელემენტები, ის დაინტერესდა უზრუნველყოფს თუ არა ,,კადემიური წერის" სასწავლო კურსი საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას მოთხოვნების შესაბამისად, მაშინ როცა პროგრამაში ასევე არ არის მოცემული ნაშრომის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული რაიმე სასწავლო კურსი.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტში, მტკიცებულებებში თითქმის ყველგან მითითებულია ვებ-გვერდი, რომლის ლინკი არასწორად იყო მითითებული, თუმცა პრობლემას ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ის, რომ ვებ-გვერდი იყო განახლების პროცესში. აღნიშნულზე დაყრდნობით, საბჭოს წევრმა მოუწოდა მხარეებს განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, რატი რატიანმა დააზუსტა იღებენ თუ არა სტუდენტები მონაწილეობას საერთაშრისო კონფერენციებში. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს მიეწოდებინათ მათთვის ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა და მობილობის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ სასწავლო კურსთან ,,იურიდიული პრაქტიკის" დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსში მოცემულია გარკვეული ხარვეზები შეფასებასთან დაკავშირებით, კერძოდ წარმოდგენილი შეფასება საბოლოო ჯამში არ იძლევა 100 ქულას. ამასთან პრაქტიკის შეფასების დოკუმენთან მითითებაა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, აქვს თუ არა დაწესებულებას თავისი შეფასების დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშილი დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით თუ რამდენი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი არის გათვალისწინებული პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა ,,ინოვაციების სამართლის" სასწავლო კურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან მიმართებით დასკვნაში უნდა იყოს რჩევა, რომელიც ტექნიკური ხარვეზის გამო არის გამორჩენილი. მისი თქმით, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა აჩვენა პროგრამის ძალიან პრაქტიკული დამატებითი ღირებულება და ეფექტური ინოვაციური კურსები, როგორიცაა, სხვა პრაქტიკულ კურსებს შორის შრომის ბაზრის მოლოდინების შესაბამისად, ბლოკჩეინის ტექნოლოგიის/სახელმწიფო ადმინისტრაციის და საჯარო სერვისების დიგიტალიზაციის სამართლებრივი მიდგომის შესახებ. როგორც პროგრამის კოორდინატორებმა და თვითშეფასების ჯგუფმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ მათ სურთ შექმნან პროგრამა, რომელიც გამოუშვებს კონკურენტუნარიან პროფესიონალებს. სწორედ ამიტომ დასახელდა დამსაქმებელთა მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა საგნები. მათ შორის აღინიშნა ინოვაციების კანონი. ექსპერტის თქმით, გონივრული იქნება, თუ აკადემია ჩაატარებს შრომის ბაზრის კვლევას ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კანონმდებლობის გათვალისწინებით და განაგრძობს სასწავლო გეგმების შემდგომ განვითარებას ამ მიმართულებით, ძირითადი საგნების პარალელურად. ეს შეიძლება მართლაც ინოვაციური იყოს სტუდენტებისთვის, რადგან ტექნოლოგიურ ეპოქაში, სადაც ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობებზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მუდმივად განვითარებადი ტექნოლოგიები, ადვოკატებისთვის ახალი გამოწვევები სულ უფრო და უფრო იჩენს თავს.

ექსპერტმა ვებ-გვერდთან დაკავშირებთ აღნიშნა, რომ მოცემული კითხვა მათაც გაუჩნდათ ვიზიტის დროს, რის საპასუხოდაც დაწესებულებამ განმარტა, რომ უნივერსტეტის ვებ-გვერდზე განხორციელდა ჰაკერული შეტევა, რის შედეგადაც საიტი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, შეაბამისად საიტი იყო განახლების პროცესში. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა ენახა ვებ-გვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია.

ამასთან, როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულ თარგამნში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ 5.2 ქვესტანდარტი ნაცვლად შესაბამისია სტანდარტთან უნდა იყოს მოცემული როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან კომპონენტთან მიმართებით გაცემულია რეკომენდაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთლიან სტანდარტზე აღნიშნული გავლენას არ ახდენს. თუმცა როგორც მანამდე აღინიშნა, თავად სტანდარტის შეფასების ნაწილში იკვეთება, რომ აღნიშული მეტწილად არის შეფასებული.

დადებითად იქნა შეფასებული ის, რომ დაწესებულებაში დიდი მნიშვბელობა ენიჭება კვლევით კომპონენტს, თუმცა ამასთან უნდა აღინიშნოს ასევე, რომ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პრაქტიკის კომპონენთან მიმართებითაც, კერძოდ დაწესებულებას აქვს გაფორმებული არა ერთი მემორანდუმი.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, თითოეული საგნის ფარგლებში, ნამდვილად არის უზრუნველყოფილი დავალებების სახით ისეთი ნაშრომების შესრულება, რომლებმაც, თუკი სტუდენტი დაძლევს აკადემიური წერის ზოგად კომპონენტს, უნდა გაიყვანოს იმ შედეგზე, რომ მან სრულად შეძლოს სამართლებრივი მიმართულებით საბაკალავრო ნაშრომის სტანდარტების შესაბამისად შესრულება. ამასთან, დაწესებულების განმარტებით, პროგრამაში განსაზღვრული მექანიზმები სრულიად საკმარისია საბაკალავრო საფეხურისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მხოლოდ მოცემულ დაწესებულებაში არის აფილირებული, შესაბამისად მთელი რესურსი აქეთკენ იქნება მიმართული. ამასთან, პროგრამას ასევე ჰყავს განმავითარებელი ჯგუფი, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული პროგრამის განვითარებისა და დახვეწის საკითხებში, ამის გამოცდილება დაწესებულებას აქვს სხვა პროგრამებთან მიმართებითაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა აკადემიურ წერასთან დაკავშირებთ აღნიშნა, რომ მოცემული სილაბუსი გაჯერებული არის იმ ძირითადი პრინციპებით, რომელიც უნდა ჰქონდეს სტუდენტს რომ ისწავლოს აკადემიური წერის მიმართულებები. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ,,სამართლებრივი წერის" სილაბუსი, სწორედ ამიტომ სამართლის საკითხის შეტანა არ მომხდარა აკადემიური წერის სილაბუსში, რათა არ მომხდარიყო გადაფარვა. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის საკითხს, დაწესებულებას გამოცხადებული აქვს კონკურსი, იმ მიზნით რომ მოხდეს ახალი პერსონალის დამატება, ამასთან პროფესორთან დაკავშირებით, რომელზეც აღინიშნა, რომ სისხლის მიმართულებით აქვს პრაქიკა, მან აღნიშნა, რომ ხსენებული პირი არის საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი, შესაბამისად პრობლემა ამ კუთხით არ უნდა იყოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი ინსტიტუციასთან თანამშრომლობს პროგრამის შემუშავების ფარგლებში. დაწესებულებას აქვს პერსონალის პრდუქტიულობის შეფასების შესაბამისი წესი. დაწესებულებაში მოწმედებს აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები, მაღალი შეფასების პერსონალს დაწესებულება სრულიად უფინანსებს რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებას, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ასრებობს საბაკალარო ნაშრომის შესრულების დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი ინფორმაცია საბაკალრვო ნაშრომთან, მის მოთხოვნებთან და შესრულების ნაწილთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ვებ-გვერდის საკითხს, ჩინეთიდან დაწესებულების ვეგ-გვერდზე განხორციელდა კიბერ შეტევა, რაც ასევე დადასტურებული იყო იუსტიციის სამინისტრო მიერ. შესაბამისად,

ახალ ვებ-გვერდს მიენიჭა ახალი აიპი მისამართი, გამომდინარე აქედან სრული ინფორმაციის ახალ საიტზე გადატანა მცირე დროში ვერ მოხერხდა, შესაბამისად ვებგვერდი არსებობს თუმცა მისის სრულად განახლება ჯერ არ დასრულებულა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამჟამად თანამშრომლობა მიმდინარეობს თურქეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან, რომელთან ერთადაც იგეგმება გაცვლითი პროგრამა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები.
რაც შეეხება პრაქტიკის სილაბუსს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არსებობს ტექნიკური შეცდომა, ვინაიდან შეფასება ხდება 100 ბალიანი სისტემით. ამასთან, ტექნიკური ხარვეზი არის ასევე პრაქტიკის ანგარიშთან მიმართებით, რაც აუცილებლად იქნება გამოსწორებული დაწესებულების მიერ.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ჰყავს 11 აკადემიური პეროსნალი, რომელთაც აქვთ დარგში დოქტორის ხარისხი, ხოლო აქედან ათია აფილირებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:02
დასრულების დრო: 15:37

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა;
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - (01/07/2026) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით - (01/07/2026) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციებიი:

1. სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების პროცედურების ნაწილში პროგრამა საჭიროებს უფრო კონკრეტულ, დეტალურ და გამჭვირვალე განმარტებებს/აღწერას;

2. პროგრამას სჭირდება პროაქტიული მობილობის პოლიტიკა - სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, ან სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში, მათ შორის კლასგარეშე აქტივობებში მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე მსგავს აქტივობებში საზღვარგარეთ (მაგალითად, Erasmus+ პროგრამა);
3. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სათანადო აქტიურობა სამეცნიერო სფეროში (კვლევების ჩატარება, კონფერენციებში მონაწილეობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და ა.შ.);
4. რეკომენდირებულია აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსში გათვალისწინებულ იქნეს იურიდიული სამეცნიერო-კვლევითი დოკუმენტის ასაგებად და მოსამზადებლად აუცილებელი საკითხები, როგორიცაა ნაშრომის სტრუქტურა, სათაური, დასკვნა და ა.შ

რჩევები:

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეეძლო უფრო ზუსტად და სტრატეგიულად გაეანალიზებინა დამსაქმებლების ინტერესების გამოკითხვები, რომლებიც შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა ჩაატარა. საბოლოო შედეგები სასურველია აისახოს პროგრამის მომავალ განვითარებაზე;
2. სასურველია დეტალური თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა შემდგომი შეფასების პროცესებისთვის;
3. თუ პროგრამას აქვს ლოგიკური შრომის ბაზარი, და მისი სტრატეგია ძირითადად ეროვნულზე არის ორიენტირებული, მომავალში კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად სასურველია შემუშავდეს უფრო საერთაშორისო ორიენტირებული სტრატეგიაც. ამის დაწყება შესაძლებელია არსებული პარტნიორობისა და საერთაშორისო პროგრამების გამოყენებით;
4. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს რომ შეფასება პროაქტიულის ნაცვლად ძირითადად მონაცემთა ანალიზზე იყოს ორიენტირებული;
5. სასურველია მომავალში უფრო მეტი ინგლისური ენის კურსების ორგანიზების უზრუნველყოფა სამართლის სპეციალიზებულ დარგებში, ასევე სამართლებრივი სისტემების/ეროვნული სისტემების შედარებითი მიდგომის უზრუნველყოფა პროგრამის მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს სტუდენტების მეტი მონაწილეობა იმიტირებულ სასამართლოებში/ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე;
6. სასურველია ნაშრომების თემების ადაპტირება საერთაშორისო სამართლის/საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე მოვლენებთან, ვინაიდან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო სამართალს;
7. სასურველია განისაზღვროს სტუდენტების სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზანი პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში;
8. სასურველია, აკადემიამ ჩაატარებს შრომის ბაზრის კვლევას ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კანონმდებლობის გათვალისწინებით და განაგრძობს სასწავლო გეგმების შემდგომ განვითარებას ამ მიმართულებით, ძირითადი საგნების პარალელურად.

მეორე საკითხი : სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მოზმადება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 19 ნოემბრის N207 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 49, ქ. თბილისი, 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2020 წლიდან. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას და სურვილი აქვთ ისწავლონ საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამებზე, სთავაზობს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N59. ხელახალი აკრედიტაციისათვის გადამუშავდა პროგრამა და მოერგო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელს. პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ ქართული ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით განსაზღვრული B2 დონეზე, რათა სრულყოფილად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში და სწავლა გააგრძელონ უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად 2023 წლის 8 თებერვალს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით. ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხემმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინა ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება იზიარებს ექპსერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების უმრავლესობას და მზად არის გაატაროს შესაბამისი ცვლილებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია, რათა მიიზიდოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტები. საჭიროა გაძლიერდეს საინფორმაციო კამპანია აბიტურიენტთა მოსაზიდად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში პროგრამის გაცნობისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით.
2. სასწავლო კურსის სილაბუსში „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“, გამჭვირვალე შეფასების მექანიზმის გამოსაკვეთად, დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს შეფასების თითოეული კომპონენტი, რათა სტუდენტისთვის ნათელი გახდეს შესაბამისი ქულობრივი შეფასება.
3. მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის“ ამოღება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამიდან, რადგან აღნიშნული პროგრამის სტუდენტთა ენის ფლობის დონე არ შეესაბამება ამ კურსებში შეტანილ სასწავლო მასალას, ხოლო დარჩენილი კრედიტები მოხმარდეს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც გამოუმუშავებს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების კომპეტენციებს, ან შეასწავლის დარგობრივ ლექსიკას.
4. განახლდეს სასწავლო კურსებში მითითებული ნაწილობრივ მოძველებული და არამიზნობრივი ლიტერატურა თანამედროვე მიზნობრივი სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო მასალით.
5. სასწავლო კურსში „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სტუდენტს მიეწოდოს მხოლოდ ადაპტირებული ტექსტები და ეს ცვლილება შესაბამისად აისახოს სასწავლო კურსის სილაბუსში.

6. თუ პროგრამა სხვა ლოკაციაზე გააგრძელებს მუშაობას, მოხდეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ბაზის ხელახალი მონიტორინგი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრქუციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება უმეტესად იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს. რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, შესაძლებელია სასწავლო კურსების „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის“ მოდიფიცირება, რომ ამ კურსებმა შეითავსონ ენის ოთხი უნარის გაუმჯობესების კომპონენტები. მით უფრო, რომ ანალიზის ნაწილში დასკვნის 1.1. კომპონენტში ექსპერტები აღნიშნავენ: "პროგრამა ავითარებს ინტერკულტურულ კომპეტენციას სახელმწიფოში ინტეგრაციისთვის", ასეთი სახით მოდიფიცირება მეტად ხელს შეუწყობს აღნიშული კომპეტენციის განვითარებას.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ ამ ეტაპზე პროგრამის სხვა ლოკაციაზე განხორციელება არ იგეგმება. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტს მოუწევს აღნიშნული პროგრამის სხვა ლოკაციაზე განხორციელება, კანონმდებლობის დაცვით აცნობებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას პროგრამის განვითარების მიზნით გაითვალისწინოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა არჩევით კომპონენტთან მიმართებით არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვინაიდან რეკომენდაცია ეხება არჩევით საგნებს, რამდენად მიზანშეწონილი იყო მისი რეკომენდაციის ფორმით გაცემა, შეიძლება სტუდენტმა საერთოდ არ აირჩიოს მოცემული კურსები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმ განმარტა, რომ მართალია მოცემული კურსები არჩევითია და დაწესებულების აზრით შესაძლებელია მოცემულმა კურსებმა განავითარონ ინტერკულტურული კომპეტენცია სტუდენტებში, მაგრამ ექსპერთა მოსაზრებით ის მასალა რომელიც შედის ამ სასწავლო კურსებში ვერ იქნება დაძლევადი სტუდენტების მიერ, რადგან უმეტესობა იწყებს ენის შესწავლას ნულოვანი დონიდან და შესაბამისად, რამდენიმე თვეში სტუდენტებს არ ექნებათ საშუალება, რომ ეს სასწავლო კურსების სრულიად აითვისონ. შესაბამისად, ბევარად უკეთესი იქნება თუ მოცემული კრედიტები მოხმარდება იგივე დარგობრივი ლექსიკის შესწავლას, ან მოსმენისა და მეტყველების კომპეტენციების განვითარებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის მისაღებია ექსპერტთა მოსაზრებები და აქტიურად იმუშავებენ აღნიშნულ საკითხებზე მომავალში.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:57
დასრულების დრო: 16:02

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - (31/12/2029) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - (31/12/2029) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრათ შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია, რათა მიიზიდოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტები. საჭიროა გაძლიერდეს საინფორმაციო კამპანია აბიტურიენტთა მოსაზიდად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში პროგრამის გაცნობისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით;
2. სასწავლო კურსის სილაბუსში „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“, გამჭვირვალე შეფასების მექანიზმის გამოსაკვეთად, დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს შეფასების თითოეული კომპონენტი, რათა სტუდენტისთვის ნათელი გახდეს შესაბამისი ქულობრივი შეფასება;
3. მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის“ ამოღება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამიდან, რადგან აღნიშნული პროგრამის სტუდენტთა ენის ფლობის დონე არ შეესაბამება ამ კურსებში შეტანილ სასწავლო მასალას, ხოლო დარჩენილი კრედიტები მოხმარდეს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც გამოუმუშავებს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების კომპეტენციებს, ან შეასწავლის დარგობრივ ლექსიკას;
4. განახლდეს სასწავლო კურსებში მითითებული ნაწილობრივ მოძველებული და არამიზნობრივი ლიტერატურა თანამედროვე მიზნობრივი სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო მასალით;
5. სასწავლო კურსში „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სტუდენტს მიეწოდოს მხოლოდ ადაპტირებული ტექსტები და ეს ცვლილება შესაბამისად აისახოს სასწავლო კურსის სილაბუსში;
6. თუ პროგრამა სხვა ლოკაციაზე გააგრძელებს მუშაობას, მოხდეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ბაზის ხელახალი მონიტორინგი.

რჩევები:

1. დაკონკრეტდეს სასწავლო საგნის „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“ სახელწოდება და ეწოდოს „მულტიმედია ქართული ენის შემსწავლელთათვის“;
2. სასწავლო კურსის - „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ - სილაბუსის არჩევითი ლიტერატურის სიიდან ამოღებული იქნეს რ. გორდეზიანის „მითების სიბრძნე“, რადგან აღნიშნული გამოცემა არ შეესაბამება სტუდენტთა ენის ფლობის დონეს;
3. სილაბუსში “ტოლერანტობა და მრავალფეროვნება” ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორები არასწორად არის მითითებული და უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სრულად და ზუსტად მიეთითოს ავტორები: თ. ქამუშაძე, რ. ჭუმბურიძე, მრავალფეროვნება და ტოლერანტობა: ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება: საკითხავი: ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისთვის; რედაქტორი: კახა გაბუნია; სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი; თბ. 2019;
4. საგნის „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“ სილაბუსის სავალდებული ლიტერატურაში აღინიშნოს, თუ რა სახის სასწავლო მასალას სთავაზობს სტუდენტს მითითებული ბმული;
5. სასწავლო კურსის „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში არასწორად არის მითითებული სახელმძღვანელო: ნინო შარაშენიძე, ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა, თბილისი, 2007. - აღნიშნული გამოცემა არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარს და ამოღებული იქნეს მითითებული ლიტერატურის სიიდან;
6. ქართულ კულტურულ სივრცესთან ინტეგრაციის, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის სტუდენტებისთვის რეგულარული გახადოს ექსტრაკურიკულური აქტივობები, როგორიც არის ექსკურსია, მუზეუმებისა და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება და სხვ.;
7. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შემუშავდეს CV-ის წარმოდგენის ერთიანი ფორმა და განახლდეს პერსონალთა პირადი საქმეები;
8. სასურველია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის გარე შეფასების პროცესში დარგის ექსპერტების რაოდენობის ეტაპობრივი გაზრდა

მესამე საკითხი : შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 12 თებერვლის N381 გადაწყვეტილებ
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ისტორია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის №1, თბილისი, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- მარინა მაისურაძემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ლაშა ჩხარტიშვილმა და გურანდა ჭელიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს კავკასიის უნივერსიტეტში ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2022 წლის 26 დეკემბერს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, მაგისტრანტებს, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა. ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.
ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნავდა რომ რეკომენდაციები რჩევებში უნდა გადასულიყო, როგორც მან აღნიშნა, კავკასიის უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსი და ისტორიის მიმართულებით შერჩეულ იქნა 10 აკადემიური პერსონალი. ეს ნამდვილად ამყარებს პროგრამის მდგრადობას, თუმცა, როგორც ეს აღნიშნულია არგუმენტირებულ პასუხშიც, ჯერ გადაწყვეტილება საჯაროდ

არ არის გამოცხადებული. ვინაიდან დასკვნის საბოლოო ვარიანტის გამოგზავნის მომენტისთვის კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ არ იძებნება, ექსპერტთა ჯგუფი იძულებულ იყო აღნიშნული რეკომენდაციის სახით დაეტოვებინა დასკვნაში. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური პროცენტული წილი პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტისთვის განისაზღვროს ერთი და იგივე პრინციპით.
2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნა ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვისაც.
3. პროგრამის მდგრადობის სრულად უზრუნველსაყოფად აუცილებელია ისტორიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაშ არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება მოცემულს არ იზიარებს, ვინაიდან იგი დაკავშირებულია შიდასაუნივერსიტეტო პოლიტიკასთან. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ემყარება ერთიან საუნივერსიტეტო წესს, რომელიც პირველი ეტაპის (სწავლების პირველი წელი) საგნებს მეორე, მესამე და მეოთხე ეტაპის (სწავლების შესაბამისი წელი) საგნებისაგან განსხვავებულ (შედარებით დაბალ) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს უწესებს. საუნივერსიტეტო წესის თანახმად, სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. პირველი ეტაპის საგნებისათვის როგორც შუალედურ, ისე დასკვნით შეფასებებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51%-ს, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე ეტაპის საგნებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59% იმისთვის, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, ხოლო დასკვნითი გამოცდა მას ჩაბარებულად ეთვლება, თუ მიიღებს 30 ქულის სულ მცირე 60%-ს. აღნიშნული წესი უნივერსიტეტში წლებია დანერგილია და მას შემდეგ წარმატებით მოქმედებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვას, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის როგორც შინაარსობრივი, ისე ადმინისტრაციული ასპექტების შეფასებას და ცოდნის შეფასების სისტემის

გამჭვირვალობის და დაწესებული მინიმალური ზღვრის მხრივ სტუდენტების მიერ არ გამოთქმულა შენიშვნა.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ქართულ აკადემიურ სივრცეში კავკასიის უნივერსიტეტი გამოირჩევა კერძო უნივერსიტეტებს შორის გაცვლითი პროგრამების სიმრავლით. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ზრუნავს ახალი პარტნიორების მოძიებაზე და სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნაზე. ამ პოლიტიკის ფარგლებში ისტორიის პროგრამის სტუდენტებისთვის წელს შერჩეულ იქნა თესალონიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც მზად არის ისტორიის პროგრამის სტუდენტებს უმასპინძლოს და ჩართოს ისინი არქეოლოგიურ ექსპედიციებში. ვინაიდან ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის/სკოლის ყოველდღიური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს და ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შედეგები სახეზეა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშრებით და განმარტა, რომ პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხი თვითშეფასების ჯგუფის მიერ თავის დროზე ასახულ იქნა პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, როგორც პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარე და მისი გამოსწორების მიზნით დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიება - გამოცხადდა აკადემიური კონკურსი. აკადემიური კონკურსი ჩატარდა 22 თებერვალს, რომლის შედეგები უკვე შეაჯამა საკონკურსო კომისიამ და დადებითი გადაწყვეტილება მიიღო 10 კანდიდატთან დაკავშირებით. აღნიშნული კონკურსის შედეგად, ისტორიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა 19-მდე გაიზრდება, ხოლო თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის 9/36-ის ნაცვლად შეადგენს 19/26. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების 70%-ზე მეტი სწორედ აკადემიური პერსონალის მიერ იქნება დაფარული. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია და განხორციელდა დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით. შესაბამისად, მოველით, რომ მოიხსნება ან გადავა რჩევების კატეგორიაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი ნინო ღაღანიძე დაინტერესდა პრველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და მიმართა ექსპერტებს, შიდა საუნივერსიტეტო რეგულაცია ეხება მხოლოდ სავალდებულო თუ ყველა კომპონენტს, ვინაიდან რეკომენდაციაში აღნიშნულია მხოლოდ სავალდებულო კომპონენტი. მან ექსპერტს სთხოვა უფრო დაეზუსტებინა რა იყო პირველი რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ ,,მუზეუმთმცოდნეობის" სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურსის მიზნებში მოცემულია, რომ სტუდნეტი უნდა გაეცნოს თითოეული მუზეუმის შექმნის კონცეფციას, რაც მისი თქმით წარმოუდგენელია, თუმცა უნარებში შემდეგ უკვე მოცემულია რომ საუბარია თანამედროვე მუზეუმებზე, რაც სავსებით გასაგებია. გარდა ამისა, უმჯობეს იქნებოდა სასწავლო კურსში მითითებული ყოფილიყო ქართველი ავტორების სახელმძღვანელოები. საბჭოს წევრმა ასევე ქართული ისტორიის სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რიგ კვირებში მითითებულია მხოლოდ ავტორთა სახელები და გვარები, სახელმძღვანელოს დასახელების გარეშე. გარდა ამისა, შეფასების ნაწილში მოცემულია ჯგუფური პრეზენტაცია, თუმცა არ არის გაწერილი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები.
საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რატომ იქნა გამოთხოვილი სამი საბაკლაავრო ნაშრომი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არ არის მოცემული ნაშრომების შეფასებები, რასაც აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ვინაიდან ნაშრომები არის არაერთგვაროვანი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია შეფასებების მინიმალურ პროცენტულ წილთან დაკავშირებით ეხება სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, რიგ სილაბუსებში დაფიქსირებული იყო, რომ შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია 51%-იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამდენად, სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, ხოლო ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება 30 ქულის სულ მცირე 51%-ის დაგროვების შემთხვევაში. ზოგიერთ სილაბუსში კი მოცემულია, რომ „სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%“ და რომ „სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%“. თვითონ პროგრამაში სწორედ მეორე ვარიანტია (59% და 60% შესაბამისად) მოყვანილი, თვითშეფასების ანგარიშში კი ინფორმაცია ამის შესახებ საერთოდ არ გვხვდება. როგორც ხედავთ სხვადასხვა საგნებში განსხვავებული მიდგომებია შეფასებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაცია ვრცელდება ყველა სასწავლო კურსზე მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებზე.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროსპექტუსის შეფასება ხდება კომისიური წესით, რაც განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:32
დასრულების დრო: 16:50

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია საუნივერსიტეტო რეგულაციის შესაბამისად განსზღვრული შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური პროცენტული წილი მკაფიოდ აისახოს თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში;
2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნა ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვისაც;
3. პროგრამის მდგრადობის სრულად უზრუნველსაყოფად აუცილებელია ისტორიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

რჩევები:

1. სასურველია, გადაიხედოს საგნის „ბიზანტიის ისტორია“ წინაპირობა და გაირკვეს, ხომ არ აქვს ადგილი ტექნიკურ შეცდომას;
2. სასურველია, საგნის „პროფესიული სამიზნე ენა 2“ სილაბუსში ჯერარდ ტოულის სტატია შეიცვალოს რელევანტური და ისტორიული სინამდვილის უფრო სწორად აღმწერი გამოკვლევით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე;
3. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები სილაბუსებში: „აზერბაიჯანის ისტორია“, „სამეცნიერო კვლევა ისტორიის/ნუმიზმატიკის დარგში“ და „ფული და ადამიანი საქართველოს ისტორიაში: სამიათასწლოვანი ისტორია“;
4. საგნის „ნუმიზმატიკა, ბონისტიკა“ სილაბუსში რუსულენოვანი წიგნი ძირითადიდან უნდა გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურის სიაში;
5. სასურველია, დაზუსტდეს და ჩასწორდეს საგნის „ფული და ადამიანი საქართველოს ისტორიაში: სამი ათასწლოვანი ისტორია“ სახელწოდება;
6. სასურველია, დაწესებულებამ უფრო აქტიურად დაგეგმოს გასვლითი ღონისძიებები (არქეოლოგიური ექსპედიცია, ვიზიტი მუზეუმებში და ა.შ.) პროგრამის სტუდენტებისათვის;
7. სასურველია, დაწესებულებამ მეტად დააინტერესოს სტუდენტები კონფერენციებსა და საფეხურის დონის შესაბამის კვლევით პროექტებში ჩართვაში;
8. სასურველია, პროგრამის მიმართ დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევის შედეგები იყოს ფორმალიზებული ისეთი სახით, რომლის მეშვეობით იქნება შესაძლებელი რესპოდენტთა მოსაზრებების, შეფასებებისა და რეკომენდაციების დადგენა.

მეოთხე საკითხი : შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		10.12.2021

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1351861
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- მარინა მაისურაძემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ლაშა ჩხარტიშვილმა და გურანდა ჭელიძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტმა ანგარიში წარმოადგინა 2022 წლის 12 დეკემბერს. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 12 დეკემბერი. ამდენად, ანგარიში წარმოდგენილია დადგენილი ვადის შესაბამისად. კავკასიის უნივერსიტეტმა საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე ან/და რჩევებზე გულდასმით იმუშავა და წარმოადგინა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, რომელსაც თან ახლდა რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექპსერტს და აღნიშნა, რომ დაწესებულება კვლავ გააგრძელებს პროგრამის განვთარებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:56

დასრულების დრო: 16:57

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგარმაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეხუთე საკითხი : ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28/09/2021; N990143
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
8	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკური მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	რ. თაბუკაშვილის ქ. N27, 0108, საქართველო

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 1 წელი (2022 წლის 28 სექტემბრამდე), საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 28 სექტემბერს. შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა ანგარიში წარმოადგინა 27 სექტემბერს 2022 წელს. გაცემული რეკომენდაციების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინების მიზნით სამოქმედო გეგმის შედგენა განხორციელდა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. სამუშაო პროცესის ფარგლებში მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების განხილვა და პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, ცვლილებები განხილული იქნა სამართლისა და პოლიტიკის სკოლის მოწვეული და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობით. მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასარულებელი რეკომენდაციები და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები როგორც პროგრამაში და სილაბუსებში, ისე დანარჩენ დოკუმენტაციაში, როგორიცაა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი.
დაწესებულებას დასკვნაში მოცემული ყველა რეკომენდაცია სრულად აქვს შესრულებული. აღნიშნული რვა რეკომენდაცია ეხებოდა მე-2 სტანდარტს, ხოლო მე-9 რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა სტუდენტების შეფასებას, ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასებისთვის და მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მე-9 რეკომენდაცია ეხებოდა კონკრეტულ სილაბუსებში სტუდენტთა შეფასების სისტემის მინისტრის N3 ნ ბრძანებასთან შესაბამისობას, აღნიშნული გულისხმობდა შეფასების კონკრეტული რუბრიკებს ჩაშლას. გამომდინარე აქედნა, დაწესებულებამ გაატარა შესაბამისი ცვლილებები და მოხდა სილაბუსებში შეფასების რუბრიკების მიხედვით ჩაშლა. რეკოემნდაცია, რომელიც პირველადი აკრედიტაციის დროს იქნა განსაზღვრული, დაწესებულებას სრულად აქვს გათვალისიწნებული.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:14
დასრულების დრო: 17:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - "საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ააკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N1443383, 31/12/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფსიქოლოგია, 0313
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა 35/32

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ააკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N1443384, 31/12/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
8	კვალიფიკაციის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფსიქოლოგია, 0313
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა 35/32

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ერმილე მესხიამ, ნინი ჭალაგანიძემ,

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

ვინაიდან სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფსიქოლოგიის” საბაკალავრო და "კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ ორივე საკითხი განიხილა თანმიმდევრობის დაცვით ერთი შესვენების ფარგლებში.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 31 დეკემბერი. 2022 წლის 27 დეკემბერს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, რომელიც,

დოკუმენტების მიხედვით, წარმოდგენილია საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და რჩევის შესასრულებლად, დაწესებულებამ 2022 წლის 7 მაისს განიხილა „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაკისრებული ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების გზების და ფორმების საკითხი მათი გადაწყვეტილებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გააგრძელა მუშაობა აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად. პროგრამის ხელმძღვანელთა ინიციატივით, წარმოდგენილი იქნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით გაიწერა პასუხისმგებელი პირები, ვადები და ინდიკატორები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულების მირ რეკომენდაციების უმრავლესობა სრულიად იქნა შესრულებული, ასევე სრულად შესრულდა რჩევები. ამასთან, უნდა აღინიშნოს მე-4 და მე-8 რეკომენდაცია, რომელიც მეტ დაზუსტებას მოითხოვს, კერძოდ - მიზანშეწონილია: ან (ა) კონცენტრაციის სახით გამოიყოს კლინიკური ან/და სხვა მიმართულებ(ებ)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში ან (ბ) ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სპეციფიური კურსები შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების მხრიდან პროგრამაში კონცენტრაციის სახით გამოიყო ორი მიმართულება: 1. განვითარება და რეაბილიტაცია და 2. ფსიქოკონსულტირება, რომლის არჩევა სტუდენტს შეუძლია მეექვსე და მეშვიდე სემესტრში, თითოეული 20 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული კონცენტრაციების მიღწევის შედეგები აისახა პროგრამის მე-6 და მე-7 შედეგში. თუმცა, ორივე კონცენტრაციის არჩევა სავალდებულო არ არის. სტუდენტს ერთი კონცენტრაციის არჩევაც შეუძლია. ამდენად, პროგრამის შედეგები მეტ დაზუსტებას და დეტალიზირებას მოითხოვს.

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა. მოცემულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს დაემატა კონკურსის წესით არჩეული ერთი ასისტენტ - პროფესორი. მიზანშეწონნილია აკადემიური პერსონალის ზრდის მიმართულებით კვლავ მუშაობა, რადგან ეფექტურად განხორიელდეს აკადემიური (ლექცია/სემინარები, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა), და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს კონსტრუქციული შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ აკადემიური თანამდებობის დამატება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღრის წესის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს 2017 წლიდან. ამ წესის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება, უნივერსიტეტის ბიუჯეტის, აკადემიური პერსონალის სახელფასო სარგოს, სტუდენტთა რაოდენობის და საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საათების რაოდენობის შესაბამისად. ამ პარამეტრების შეფასების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა, რომ უნივერსიტეტს პროგრამისთვის დამეატებინა ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა და შესაბამისად, ამჟამად როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამებს ახორციელებს შვიდი აკადემიური პერსონალი, ძირითადი სასწავლო კურსებთან მიმართებით.

რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ითვალისწინებდა პროგრამაში არჩევითობის გაზრდას, რეკომენდაციის მიხედვით ექპერტმა დაწესებულებას შესთავაზა ორი გზა, შესაბამისად უნივერსიტეტმა მოახდინა კონცენტრაციების დამატება და საბოლოო ჯამში შექმნა ორი კონცეტრაცია, 1. განვითარება და რეაბილიტაცია და 2. ფსიქოკონსულტირება, რომლის არჩევა სტუდენტს შეუძლია მეექვსე და მეშვიდე სემესტრში, თითოეული 20 კრედიტის მოცულობით. კონცენტრაცია თავისი შინაარსით ნიშნავს არჩევითობას, ანუ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ორ კონცენტრაციას შორის. გამომდინარე აქედან, დაწესებულება თვლის, რომ რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მოხდა კონცენტრაციის ჩამოყალიბება ორი მიმართულებით: 1. განვითარება და რეაბილიტაცია და 2. ფსიქოკონსულტირება, რომლის არჩევა სტუდენტს შეუძლია მეექვსე და მეშვიდე სემესტრში, თითოეული 20 კრედიტის მოცულობით (ემატება საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტის მოცულობით და ჯამში, კრედიტების რაოდენობაა 30 კრედიტი). პირველ კონცენტრაციაში გაერთიანდა შემდეგი სასწავლო კურსები: 1. ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები; 2. ქცევის გამოყენებითი ანალიზი; 3. ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობა სკოლამდელ დაწესებულებაში; 4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ქცევის მართვა სკოლაში. რაც შეეხება მეორე კონცენტრაციას, აქ გაერთიანდა შემდეგი სასწავლო კურსები: 1. ფსიქოანალიტიკური თერაპია; 2. კლიენტზე ცენტრირებული ფსიქოთერაპია; 3. გეშტალტთერაპია; 4. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპია. გამომდინარე აქედან, არცევითობა სრულიად არის უზრუნველყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მინისტრის 69ნ ბრძანების მიხედვით, კონცენტრაციის სწავლის შედეგები პროგრამაში ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ რიგი სასწავლ კურსები მორგებულია 69N ბრძანებას, ხოლო ნაწილის კვლავს 120ნ ბრძანებას შეესაბამება. შესაბამისად, მან დაწესებულებას სთხოვა განმარტების გაკეთებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ თუ სტუდენტს მხოლოდ ერთი კონცენტრაციის არჩევის შესაძლებლობა აქვს, უნდა დაკონკრეტდეს უფრო მეტად, რომ ამ კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი კონკრეტულად რა შედეგზე გავა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია თითოეული კონცენტრაციისა და მისი შედეგების შესახებ. ხოლო სასწავლო კურსების შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობდა 69ნ ბრძანებით.

საბჭო გადავიდა მე - 7 საკითხის განხილვაზე
მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ანგარიშის წარმოდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 31 დეკემბერი. 2022 წლის 27 დეკემბერს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, რომელიც, დოკუმენტების მიხედვით, წარმოდგენილია საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და რჩევის შესასრულებლად, დაწესებულებამ 2022 წლის 7 მაისს განიხილა კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაკისრებული ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების (მათ შორის, რჩევების) შესრულების გზების და ფორმების საკითხი . მათი გადაწყვეტილებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა

გააგრძელა მუშაობა აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად. პროგრამის ხელმძღვანელთა ინიციატივით, წარმოდგენილი იქნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით გაიწერა პასუხისმგებელი პირები, ვადები და ინდიკატორები.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რჩევა და რეკომენდაცია სრულიად იქნა გაზიარებული და შესაბამისი ცვლილებები გატარებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:42
დასრულების დრო: 17:54
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვის არაუმეტეს 60 კალენდარული დღის მიცემის საკითხი ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო განესაზღვროს არაუმეტეს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია: ან (ა) კონცენტრაციის სახით გამოიყოს კლინიკური ან/და სხვა მიმართულებ(ებ)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში ან (ბ) ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სპეციფიური კურსები შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს;
2. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში შედეგები რეფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი გაზომვადობა;
3. მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია/სემინარები, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კლინიკური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა და საბჭოს გააცნო დაწესებულების თხოვნა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს ჩატარების დღეს.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა
საბჭოს სხდომა დსრულდა 18:25 სთ - ზე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი